

**წყაროები.ლოკუპენბები**

**მიმართვა შილა ქართლისა და ქსინგვალის ოსი  
მოსახლეობისადმი**

ჩვენი ხალხებისადმი ამ მძიმე დღეებში მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან ყველაფერი, რაც ოსებსა და ქართველებს შორის ხდება, არა მარტო საერთო უბედურებაა, არამედ პირადი ტრაგედიაცაა თითოეული ჩვენთაგანისათვის. ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ერთუბრთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის წაქეზებით, ვინაიდან ეს ძმათა მკვლელი ომი ვიღაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია. დღეს მთელს მსოფლიოს აღელვებს ქალაქ ცხინვალში შექმნილი სიტუაცია, როგორც ქართველი, ისე ოსი ლტოლვილების მდგომარეობა. სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და კეთილგანწყობა ჩვენს ხალხებს შორის. ამის უპირველესი და აუცილებელი პირობაა ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ იარაღის ჩაბარება შინაგან საქამეთა სამინისტროსათვის, მათი სრული და უსიტყვო განიარაღება, რაც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცხინვალის გამონაკლისი არ უნდა იყოს, შეიარაღებული დაჯგუფებები უნდა განიარაღდნენ. სამაგიეროდ ჩვენ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

მეორე პრობლემა ქ. ცხინვალში კანონიერი ხელისუფლების შექმნაა. არ იქნება დაშვებული ე.წ. სოლქო უკანონო სტრუქტურების არსებობა. ცხინვალის გადაიქცევა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ოსებისათვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ. ეს უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით იმ პირობებით, რომ ცხინვალში დაბრუნდება ყველა ლტოლვილი, ქართველები და ოსები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენ, გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მოწყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელს ტერიტორიაზე.

ამჟამად მთელს საქართველოში იქმნება ხელისუფლების ახალი სტრუქტურები – პრეფექტურა და მუნიციპალიტეტი, რომლებიც უნდა შეიქმნას ცხინვალშიც. ეს იხსნის ქალაქს ანარქიისაგან, შიმშილისაგან, კრიმინალური ელემენტების თარეშისაგან. ცხინვალში უნდა დაინიშნოს პრეფექტი, რომელსაც ექნება როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. აგრეთვე უნდა ჩატარდეს მუნიციპალური არჩევნები, სადაც არჩეული იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სარეგებლობენ ხალხის ნდობით. ამოუდევით მხარში პარლამენტს ამ საქმეში. ეს საშუალებას მოგვცემს უახლოეს მომავალში აღვადგინოთ მშვიდობა და სტაბილურობა.

ეს აგრეთვე დაგვემარება სტიქიური ბლოკადის შედეგების დაძლევაში, რაც წარმოიშვა გაფიცვების, არასტაბილური მდგომარეობის შედეგად ტვირთის ტრანსპორტირების შეუძლებლობის, დივერსიების, ტერორისა და დამნაშავე ელემენტების თარეშის გამო.

მოვუხმოთ კეთილგონიერებას სანამ გვიან არ არის, ვინაიდან ჩვენი კონფლიქტი და სისხლისღვრა მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.*

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.*

**ზვიად გამსახურდია**

თბილისი. 1991 წლის 4 მარტი.

---

*Обращение к осетинскому населению Шиды  
Картли и г.Цхинвали*

В эти тяжелые для наших народов дни обращаемся к вам, ибо все, что происходит между осетинами и грузинами, не только общая беда, но и личная трагедия для всех нас. Грузины и осетини, которые на этой земле долгое время жили в мире и дружбе, ныне убивают друг друга, ведут войну подстрекаемые извне, ибо чьи-то имперские амбиции делают ставку на эту братоубийственную войну. Положение города Цхинвали, положение как грузинских, так и осетинских беженцев, тревожит сегодня весь мир, и будет стыдно, если мы совместными усилиями не восстановим мир и добрые отношения между нашими народами. Первым и необходимым условием является сдача оружия всеми незаконными военизированными формированиями, их полное и безоговорочное разоружение, которое сегодня происходит на всей территории Грузии. Цхинвали не должен быть исключением, боевики должны разоружиться, а взамен мы гарантируем полную неприкосновенность тем, кто сделает это добровольно и вернется к нормальной жизни.

Второе — создание занонной власти в г. Цхинвали; незаконные структуры т.н. областные — не будут допущены. Цхинвали превратится в город в город республиканского подчинения, для осетин будут сохранены все права культурной автономии, которыми они обладали во время существования области. Эти права даже будут расширяться и подкрепляться законодательством республики Грузия, при условии, что в Цхинвали вернутся все беженцы, а грузины будут иметь ранние права с осетинами, будут гарантированы неприкосновенность, трудоустройство и спокойная жизнь.

Сейчас во всей Грузии создаются новые стуктуры власти — префектуры и муниципалитеты, которые

должны быть созданы также и в Цхинвали. Это спасет город от анархии, голода и произвола криминальных элементов. В Цхинвали должен быть назначен префект, которого будет поддерживать большинство как грузинского, так и осетинского населения. Должны быть также проведены муниципальные выборы, в результате которых будут избраны люди, пользующиеся доверием народа. Просим вас содействовать Парламенту республики во всем этом. Это даст нам возможность для восстановления мира и стабильности в ближайшем будущем.

Все это также поможет нам избавиться от последствий стихийной блокады, которая возникла вследствие забастовок, протестов, невозможности транспортировки грузов из-за нестабильности положения, диверсий, террора и разгула преступных элементов.

Проявите благоразумие, пока не поздно, ибо от кровавого конфликта между нами выиграет только наш враг.

*Президиум Верховного Совета Республики Грузия*  
*Председатель Верховного Совета Республики Грузия*  
**Звиад Гамсахурдиа**

4 Марта 1991 года.